

დამტკიცებულია

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა
აგარის საჯარო სკოლის დირექტორის
მიერ

2016 წლის 27 აგვისტოს 2-183 ბრძანებით
(ცვლილება 2019 წლის 25 იანვრის N 2-08
ბრძანება)

დირექტორი/ დ. ბეგიაშვილი/

დ. ბეგიაშვილი



სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის

პროფესიული სწავლების მარეგულირებელი წესები

პროფესიული სწავლების მარეგულირებელი წესები

შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.....	3
მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება	5
მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება.....	7
მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.....	8
მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის მობილობა.....	10
მუხლი 7. მიღებული განათლების აღიარება.....	11
მუხლი 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა	13
მუხლი 9 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება.....	13
მუხლი 10. უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარება-----	15
მუხლი 11. არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა რეგულაცია-----	16
მუხლი 12.სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელების წესი	16
მუხლი 13. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომი-----	17
მუხლი 14.დასკვნითი დებულებები=====	18

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლის (შემდგომში-სკოლა) პროფესიულ სწავლების საკითხებს, როგორცაა: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, მიღებული განათლების აღიარება, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №8/ნ „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1 26/ნ უმაღლესი და პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტებ ის დიპლომისა და პროფესიული დიპლომის ფორმებ ის დამტკიცების შესახებ“ და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. **პროფესიული სტანდარტი** - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული განათლების საფეხურები, მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა, უნარები და ღირებულებები, ასევე დგინდება პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები;
2. **პროფესიული სტუდენტი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით
3. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნის, უნარებისა და

ღირებულებების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროგრამა აერთიანებს კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს/მოდულებს. მასში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები;

4. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად, აგრეთვე შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების და პროგრამის განხორციელების წინაპირობები, შესარჩევი სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის ალტერნატიული ჩამონათვალი;
5. **კრედიტი** - ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ;
6. **პროფესიული კვალიფიკაცია** - პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობა, რაც დასტურდება სკოლის მიერ გაცემული პროფესიული დიპლომით;
7. **სტუდენტის სტატუსის შეჩერება** - პროფესიული სტუდენტის სტატუსის დროებით შეჩერება, რომელიც არ გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;
8. **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა** - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიიდან მისი ამორიცხვა;
9. **მობილობა** - პროფესიული სტუდენტის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
10. **შიდა მობილობა** - პროფესიული სტუდენტის სკოლის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სკოლის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.

11. **არაფორმალური პროფესიული განათლება** – პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად;
12. **პროფესიული ტესტირება** – პროცედურა, რომელიც ადგენს პირის მზადყოფნას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისათვის;
13. **აპლიკანტი** – პირი, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესიული სტანდარტით დადგენილ დამატებით მოთხოვნებს ან/და რომელიც პროფესიულ ტესტირებაზე გასვლის მიზნებისათვის დარეგისტრირებულია ამ დადგენილი წესით და სწავლის გაგრძელებას აპირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით.
2. პროფესიული განათლების მიღების უფლების რეალიზების მიზნით სკოლა შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობით მართავს კონსულტაციებს პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ.
3. პროფესიული ტესტირების ორგანიზებას ახორციელებს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულები“-ს შესაბამისად.

4. სკოლა უზრუნველყოფს აპლიკანტთა რეგისტრაციას
5. აპლიკანტი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, სკოლაში წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
 - განცხადება დირექტორის სახელზე;
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის გარეშე;
 - მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი;
6. სკოლა აცხადებს აპლიკანტთა მიღებას ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ცენტრის მიერ დადგენილი ელექტრონული ფორმით, სპეციალური პროგრამის გამოყენებით.
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა მიღების მიზნით, სპეციალურ პროგრამაში მითითებული უნდა იყოს:
 - სკოლის სამართლებრივი ფორმა და სრული დასახელება;
 - სკოლის საფოსტო მისამართი;
 - სკოლის ტელეფონი (ფაქსი, ელფოსტის მისამართი);
 - დაწესებულების ხელმძღვანელი პირების ვინაობა მათი საკონტაქტო ტელეფონების მითითებით;
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხური/საფეხურები, რომლებზეც მოხდება აპლიკანტების მიღება და თითოეულ მათგანზე ადგილების რაოდენობა (არანაკლებ 5-ისა);
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფესიული სტანდარტით;
 - ცენტრის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

8. სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად და შემდგომ საფეხურებზე მისაღები აპლიკანტთა რაოდენობის არანაკლებ 10% განისაზღვრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის.
9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება დასტურდება სკოლის დირექტორის ბრძანებით პირის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
10. სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ სკოლის დირექტორსა და პროფესიულ სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც იდება ერთხელ და მოქმედებს სწავლების მთელი დროის განმავლობაში.
11. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს ხელშეკრულების საგანს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს პროფესიული სტუდენტი სწავლის პერიოდში, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი შეწყვეტის წესს და სხვა დებულებებს.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;
 - აკადემიური შვებულება, რომელიც სტუდენტს შეიძლება მიეცეს: ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ორსულობისა და ახალშობილის მოვლის, უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო.
 - სკოლის შინაგანაწესის არაერთგზის დარღვევა.
 - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
2. ამ მუხლის მე-2 პუნქტში წარმოდგენილი რომელიმე საფუძვლის არსებობისას პროფესიული სტუდენტი მიმართავს სკოლის დირექტორს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, თან ერთვის შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
3. პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ განცხადებას განიხილავს სკოლის დირექტორი და იღებს გადაწყვეტილებას მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
5. სკოლის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, პროფესიული სტუდენტი მიიჩნევა სტატუსის შეჩერებულ პირად.
6. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სკოლის სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება სკოლის პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, სკოლი უზრუნველყოს შესაბამის რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაციას.
7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლის გასაჩივრება შესაქმლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია არაუმეტეს 2 წლის ვადით.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა დასაშვებია წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესის, სკოლის შინაგანაწესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - სკოლის წესდების, შინაგანაწესის მოთხოვნების სისტემატური ან ერთჯერადი უხეში დარღვევა
 - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა;
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
 - პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;

- კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა ან/და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობის 1/3-ზე მეტის გაცდენა;
 - მეცადინეობების არასაკმატო მიზეზით ზედიზედ 15 (თხუთმეტი) სამუშაო (სასწავლო) დღის ოდენობით გაცდენა.
 - სკოლის შინაგანაწესის მოთხოვნათა უხეში დარღვევა;
 - გარდაცვალება.
 - მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.
3. პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს შესაბამის რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის რეგისტრაციას.
 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლით
 5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად
 6. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია სკოლაში შეიტანოს განცხადება მობილობის მსურველად რეგისტრაციის თაობაზე, აგრეთვე წარადგინოს სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია განვლილი საგანმანათლებლო პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) შესახებ.
 7. მობილობის მსურველი პირის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა შესაძლებელია გახდეს პირის მობილობის წესით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

მუხლი 6. პროფესიულ სტუდენტთა მობილობა

1. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას და მობილობის საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი.
2. მობილობის უფლება აქვს:
 - კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტს
 - პირს, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. მობილობის მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორმა შესაძლებელია შექმნას კომისია. კომისიის მიერ განხილვის შედეგები ეცნობება დირექტორს, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
4. ერთი და იმავე პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე.
5. სხვადასხვა პროგრამის (მათ შორის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული პროგრამის) ფარგლებში მობილობის შემთხვევაში სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში.
6. მობილობა დასაშვებია თუ დაცულია შემდეგი პირობები:
 - დაცულია ამ მუხლით დადგენილი მობილობის ვადები;
 - არსებობს ადგილი იმ ჯგუფში, სადაც იგეგმება სტუდენტის მობილობის წესით გადაყვანა;
 - მობილობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი და იგივე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
 - მობილობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
7. სკოლა უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს შესთავაზოს მობილობა თუ:

- სწავლის მიმდინარეობისას ჯგუფში დარჩა სტუდენტთა არასაკმარისი რაოდენობა და სკოლს არ ჰყავს ამავე სპეციალობაში სხვა ჯგუფი;
 - გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სკოლა ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
8. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს სკოლას შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე.
9. მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:
- დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა საგანმანათლებლო დაწესებულებაში
 - პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები.
 - სკოლის მიერ მოთხოვნილ იქეს დამატებითი დოკუმენტაცია
10. შიდა და გარე მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარებას ახორციელებს სკოლა.
11. სტუდენტის მობილობით გადაყვანა ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით

მუხლი 7. მიღებული განათლების აღიარება

1. სკოლა უფლებამოსილია დაადგინოს მის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა და მიიღოს გადაწყვეტილება.
2. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების აღიარება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების და სწავლების შედეგების შედარებას სკოლის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან, რაზეც პირს სურს სწავლის გაგრძელება ან განახლება.

3. აღიარების მსურველ პირთა განცხადებების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორი ქმნის კომისიას.
4. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ განვლილი და სკოლის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
6. პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების და მათი სწავლის შედეგების შინაარსობრივი კვლევის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს იდენტურობა სტუდენტის მიერ განვლილ დისციპლინასა და სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ სხვა დისციპლინას შორის.
7. სკოლის მოთხოვნის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარებისთვის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო კურსი/მოდული, კალენდარული გეგმა) ან დამატებით სხვა ინფორმაცია,
8. პროგრამის კრედიტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილებაში დეტალურად მიეთითება შესაბამისობები და შეუსაბამობები სტუდენტის მიერ გავლილ პროგრამასა და სკოლის პროგრამას შორის.
9. პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების შესახებ სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, მიეთითება სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სკოლის პროგრამასთან და ასევე, აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.]
2. სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სკოლა პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას სკოლაში განხორციელებულ სხვა მონათესავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. სკოლაში მონათესავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, სკოლა პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 9. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
3. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების
4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველმა დაწესებულებამ უნდა წარუდგინოს:
 - პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება,
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული

საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

- სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად.
5. კომისიის წევრების დანიშვნა ხდება დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
6. კომისიის შემადგენლობაში შედიან:
- დამსაქმებელთა წარმომადგენელი;
 - საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი;
 - შესაბამისი დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები;
 - დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.
7. განცხადების განხილვის პროცედურის ეტაპებია:
- ამ წესის მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება;
 - არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ჩათვლა
 - გამოცდის ორგანიზება
 - შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
8. წარდგენილი დოკუმენტაციისა და გამოცდის შედეგების გათვალისწინებით, დაწესებულება იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური განათლების აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
9. არაფორმალური განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მოიცავს:
- დაწესებულების დასახელებას;
 - განმცხადებლის ვინაობას;
 - გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;
 - არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები, ხოლო არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;
 - ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;
 - გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

10. ცალკეული კომპონენტები უნდა შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.
11. განცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს.
12. გადაწყვეტილებას ხელს აწერს სკოლის დირექტორი და წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.

მუხლი 10. უცხოეთში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარება .

1. უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ საფუძველზე. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე „სკოლა“ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან (ატესტატი) ერთად პირისაგან იბარებს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემულ დოკუმენტს- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ
2. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტის (უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ) ნამდვილობის დადასტურების შემდგომ გამოიცემა ბრძანება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ.
3. უცხოეთში მიღებული განათლების მქონე პირთან კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისია ადგენს ქართულენოვან პროგრამაზე ქართული ენის ფლობის კომპეტენციას, პროგრამის ათვისების მიზნით.
4. სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს პირის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ და ფორმდება სასწავლო კონტრაქტი ხელშეკრულება;
5. პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემები სკოლას ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული აქტის გამოცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში შეაქვს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის სისტემაში (რეესტრი).
6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების აუცილებელი პირობაა, პირმა ხელშეკრულების გასაფორმებლად კოლეჯის ადმინისტრაციაში წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და/ან დაბადების მოწმობის ასლი არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში;

გ) საბაზო საფეხურის, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის გარეშე;

დ) ორი ფოტოსურათი $\frac{3}{4}$;

მუხლი 11. არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთა რეგულაცია

1. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.

2. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა უნდა ინახებოდეს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი.

3. პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენლობა უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით

მუხლი 12. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და განხორციელების წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია უზრუნველყოს სტუდენტის მხარდაჭერა მისი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სტუდენტისათვის შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმით სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელების შეუძლებლობა;
- სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინება (გარე და შიდა მობილობის განხორციელებისას, სტუდენტის აკადემიური მომზადების განსხვავებული დონის არსებობისას);

- სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელება (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების წარმოშობისას).

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, რა დროსაც სკოლამ უნდა უზრუნველყოს პროგრამაზე არსებული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სწავლა/სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.

5. სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ სკოლას.

6. სტუდენტის მიმართვის საფუძველზე და არსებული რესურსების გათვალისწინებით, სკოლის ადმინისტრაცია განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხს და მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებს სტუდენტს.

მუხლი 13. კვალიფიკაციის მინიჭება და პროფესიული დიპლომი

1. პროფესიული სტუდენტის ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია მის მიერ შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილი კომპეტენციების ათვისების შემთხვევაში, რაც დასტურდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტში დადებითი შეფასების მიღებით ან/და კრედიტების აღიარებით/ცნობით.
2. მოდულური პროგრამის შემთხვევაში, კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
3. პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადენს სკოლის პრეროგატივას.
4. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას ახორციელებს საკვალიფიკაციო კომისია.
5. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს იმ სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს, რომელთაც სრულად აითვისეს ან აღიარებულ ექნათ

შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.

6. საკვალიფიკაციო კომისია იხილავს სტუდენტის პირად საქმეს, მის მიერ მიღებულ შეფასებებს, რის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ან კვალიფიკაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
7. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს წარმოადგენს პროფესიული დიპლომი, რომლის გაცემაზე უფლებამოსილია სკოლა, თუ მან მოახდინა პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.
8. სკოლის მიერ გაცემული პროფესიული დიპლომის ნიმუში მზადდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით..
9. პროფესიული დიპლომის დუბლიკატი გაიცემა იმ პირზე, რომლის პროფესიული დიპლომი აღარ არსებობს ან გახდა გამოსაყენებლად უვარგისი.
10. დუბლიკატის გაცემაზე უფლებამოსილია სკოლა, თუ მან მოახდინა პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება.
11. დუბლიკატის შედგენისას ივსება დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული დიპლომის ფორმა, რომელსაც დაესმება შტამპი აღნიშვნით „დუბლიკატი“
12. პროფესიული დიპლომის დუბლიკატის რეგისტრაცია ხდება პროფესიული დიპლომებისა და დუბლიკატების ერთიან რეესტრში
13. სკოლა პროფესიული დიპლომის დამტკიცებული ფორმას აქვეყნებს საკუთარ ვებგვერდზე, ატვირთავს სკოლის რეესტრში და ერთი ეგზემპლარს წარადგინს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
14. სკოლა ვალდებულია, პროფესიული დიპლომის/დუბლიკატის შევსებიდან 10 დღის ვადაში რეესტრში ატვირთოს დიპლომის/დუბლიკატის ელექტრონული ასლი და ასახოს შემდეგი მონაცემები: პროფესიული დიპლომის/დუბლიკატისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია, ინდივიდუალური ნომერი. დაწესებულება ვალდებულია აგრეთვე, აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას რეესტრში ასახოს შესაბამისი ცვლილება.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებანი

1. „პროფესიული სწავლების მარეგულირებელ წესებს“ ბრძანებით ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

2. „პროფესიული სწავლების მარეგულირებელ წესებში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.